



გილითის ფასი 10 ლარი 25.03.14 6 / 20.00 სთ
ლიონსიძის ბანკის სახელმწიფო მფლობელობა შ. ტაბიისის შპსი
გილითის შპსის მფლობელობა სპორტის სასახლის სასახლეში

საქველმოქმედო ზარი: 0901 700 515 ზარის ღირებულება 1 ლარი

მთავარი | შურნალისმთური გამოქიება | კარმიდაპო ჩემი | 21-ს ქვივით | G-NEWS TV | სანიმერესო აბებბი

საზომადოება

მთავარი თემა

კულტურის სამინისტრო, საყდრისის საბაღო და მარინე მიხანდარი

ცისანა შერგილაშვილი 12 თებერვალი 2014 16:38:34

მინისტრმა მოადგილე დუმორჩილებლობის გამო მოხსნა. მის გარეშე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას და არაგუნდურ მუშაობაში დასდო ბრალი. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს კი ეჭვი გაუჩნდა, რომ გურამ ოდიშარიამ მარინე მიხანდარი საყდრისის გამო დასაჯა.



სწორედ კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენები იყო გოეთეს ინსტიტუტში 10 თებერვალს ქართველი მეცნიერების, ხელოვნებისა და სხვა დაინტერესებული პირების მსჯელობის თემა.

დისკუსიაზე თითქმის ყველა გამომსვლელმა აღნიშნა კულტურის მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილის დამსახურებები ქართული კულტურის წინაშე. საქართველოს ისტორიის მუზეუმის დროებითი გამოფენების უფროსის ლეკა მამაცაშვილის თქმით, იგი ყოველთვის დაუჭერს მხარს ჭკვიან, განათლებულ და გონიერ ადამიანს, ისეთს, როგორც მარინე მიხანდარია. დიზაინერმა და ხელოვანმა ნინო ჩუბინიშვილმა კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილის მხარდასაჭერად "ფეისბუქზე" გვერდიც შექმნა.

"გვერდზე სპეციალურად დავდე პოსტები, თუ რა გაუკეთებია ამ ადამიანს ვენციის ბიენალესთან, საყდრისთან დაკავშირებით. პირადად ჩემი პროექტიც ძალიან საინტერესოდ გააკეთა. გვინდოდა ეს სცოდნოდა

ვართ აუდიტორიას. ბევრი ადამიანი, ვისაც უმუშავია მარინა მიხანდართან ერთად, მიიჩნევს რომ ის არის პროფესიონალი ყველა პლანში. ამიტომ გადაწყვეტიტე "ფეისბუქზე" მისი მხარდასაჭერი გვერდის შექმნა. მე არ ვიცი, მინისტრთან მისი დამოკიდებულების დეტალები, მაგრამ ეს ჯგუფური სამუშაო პროცესია და ხდება ხოლმე გაუგებრობები. ასეთ დროს საქმიანი პოზიციები უნდა დაიცვა და არა პირადი", _ აღნიშნა ჩუბინიშვილმა.

"მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე, რომელიც საყდრისის თემაზე აქტიურად მუშაობს, სწორედ ამ ძეგლთან დაკავშირებულ პოზიციას უკავშირებს მიხანდარის განთავისუფლებას.

"ძალიან ბევრი განმარტებები მოვისმინეთ. მინისტრი ამბობს, რომ მიხანდარის გათავისუფლება არ არის საყდრისთან დაკავშირებული, მაგრამ ის მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ვაძევებდით თვალყურს, გვაძლევს იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ეს საყდრისის გამო მოხდა. ამ შემთხვევაში ეს იქნება ძალიან ცუდი პრეცედენტი. რასაც ქალბატონი მარინე მიხანდარი აკეთებდა, მიმართული იყო იქითკენ, რომ ძეგლის შენარჩუნება, სათანადოდ შესწავლა და უკვე ძეგლის სტატუსის აღდგენა პროცედურების დაცვით მომხდარიყო. ამ შემთხვევაში რაში გამოიხატებოდა მისი უფლებამოსილების გადაქცევა, სამწუხაროდ, ჩვენი თვის უცნობია, რადგან ძალიან ზოგადი განმარტებები მოვისმინეთ, მაგრამ რასაც საზოგადოება ხედავდა, თუკი ეს ამ ქმედებების გამო მოხდა, იქნება ძალიან ცუდი პრეცედენტი. ფაქტობრივად, ადამიანს ათავისუფლებენ მისი მოვალეობების გერონად შესრულებისთვის. გარედან, სამწუხაროდ, ჩან ჩანს. იმედი მაქვს, უფრო მეტ განმარტებებს მოვისმენთ ამ საკითხზე", _ ამბობს ნინო გუჯარაიძე.

მარინე მიხანდარის და საყდრისის თემას სისტემაში არსებულ გაუმართაობას მიაწერს თსუს ხელოვნებთმცოდნეობის მაგისტრატურის სტუდენტი სალომე ჭანტურიძე, რომელიც სტუდენტური მოძრაობა "მწვანე მუშტის" წევრია.

"სამინისტროსთან გვიწევდა იმაზე საუბარი, თუ რა არის ძეგლი. ჩემი აზრით, პრობლემა უნდა განვიხილოთ სისტემურად და დავუპირისპირდეთ იმ სისტემას, რომელიც არსებობს, თორემ მინისტრი კარგი ადამიანია და რა ჭნახ, ასეთი მიდგომები ძალიან ვეღუპავს. მე, პირადად, როცა არქეოლოგებს ვხვდებოდი, ამბობდნენ - ჩემი ძეგლია ძალიან მნიშვნელოვანი, ჩემი წიგნი უნდა დაფინანსდეს - რას ნიშნავს ჩემი შენი. კულტურა არის ყველას და ეს ძეგლი არის მსოფლიო მნიშვნელობის. თუმცა სამინისტროდან ერთი განცხადებაც არ გაკეთებულა საყდრისის დასაცავად მთელი წლის განმავლობაში. კულტურის სამინისტროში ძალიან ბევრი ადამიანის პოზიცია ვიცი, მაგრამ ეს ადამიანები არ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას საჯაროდ. ძალიან მაინტერესებს ძეგლთა დაცვა, ეროვნული მუზეუმი რას აკეთებს? ეს ადამიანები რაში იღებენ ხელფასს და რას ნიშნავს საერთოდ კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო?" _ თავის აღშფოთებას არ მალავს სალომე ჭანტურიძე.

კინომოდენ პაატა იაქშილილი საქართველოს ისტორიის ხელახლა დაწერის საჭიროებაზე საუბრობს და ამბობს, რომ საყდრისის არის ის ძეგლი, რომელიც ქართველი ადამიანის მსოფლიო ისტორიულ ფუნქციებს წარმოაჩენს.

"RMG გოლდს" გაუჩნდა ინტერესი, რომ გაანადგუროს ეს ძეგლი. ამით ისტორია კარგავს თავის მატერიალურ დადასტურებას. ქართველის ერის წინაშე დიდი საფრთხე დგას და როგორმე ეს უნდა გავაგვიზოთ ხელისუფლებას.

ქალბატონ მიხანდარს რაც შეეხება, მას ძალიან კარგად ესმოდა ამ ძეგლის მნიშვნელობა და სხვა რამეც. ცოტა ხნის წინ, მეცნიერთა ჯგუფმა შევთავაზეთ კულტურის სამინისტროს კულტურათა დიალოგის საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა სამინისტროში. სამწუხაროდ, მინისტრმა ვერ გამოიხატა ამისთვის დრო. კულტურათა დიალოგის წარმართვა არის ის გზა, რომელიც მოუტყმის ადგილს ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობასაც და თანამედროვე ხელოვნებასაც. როგორც ჩანს, საორგანიზაციო საკითხებში პიროვნების როლი მართლაც დიდია საქართველოში. ბოლო 24 წელია, ჩვენ ვხედავთ საქართველოში ადამიანთა ორი ტიპის აქტიურობას. ესენი არიან პოლიტიკური



8 საკითხი _ წულუკიანის უწყებას არაეფექტური მუშაობის შედეგებზე



ვინ არიან ოზურგეთის სოფლებში მკვრივტარი დეპუტატების კანდიდატები



აღდგება თუ არა სამართლიანობა მიხილ სააკაშვილის დაჭერით



"მინდოდა ღირსეული სიბერე მქონოდა..."

პოლიტიკა



"ჯავახი" სომხური ენისთვის სტატუსის მინიჭებას თხოვს"



ზაზა ხატიაშვილი მსს-სგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს



"მერაბიშვილის განცხადება საფუძველს მოკლებულია"



პარლამენტს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი

საზომადოება



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჰქონდათ და ივანიშვილი



კლუბ "გურიას" დირექტორის შვილი გარდაიცვალა



დღის ფოტო _ ბურჯანაძის ოფისი ჩოხატაურში



"მუნიციპალიტეტში მთავარი გლეხი და მიწა"

ფინანსები



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?

და სოციალური დევენერატები, რომლებიც მალთან უშლიან ხელს მთელი ერის კულტურის და მეცნიერების განვითარებას. ამიტომ საზოგადოებამ მკვეთრად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია, რომ არ დაგვარგოთ ის, რითაც უნდა გავრძელებოდეთ, არამარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორია", _ აღნიშნავს იაქაშვილი

საყდრისის უნიკალური მადარო რომ ერთადერთი პრობლემური საკითხი არაა ქართული კულტურისთვის, ამაზე თანხმდებიან ხელოვანები და კულტურის სფეროში არსებულ სხვა პრობლემებზეც ამავე დონეზე ყურადღებას.

ხელოვნებათმცოდნე სოფო კილასონიას საყდრისის საბაღოსთვის ძველის სტატუსის მოხსნა და მისი თავგამოდებული დამცველის, კულტურის მინისტრის მოადგილის თანხმდებობიდან გადაყენება დიდ პრობლემად მიაჩნია, თუმცა იგი არც იმ გამოწვევებზე დეტალურად მსჯელობას ერიდება, რომელთა წინაშე დგას ქართული კულტურა.

"შარინა მიხანდარის მოხსნა არ არის ჩვენი დისკუსიის ერთადერთი თემა. მნიშვნელოვანი პრობლემა რეგიონები და იქ არარსებული კულტურული ცხოვრება. ბოლო ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ერთი ჯგუფის მივლინება იყო საქართველოს რეგიონებში. ამით კარგად გამოჩნდა, რომ სამინისტროს არ აქვს კულტურული პოლიტიკა ამ მიმართულებით. თეატრის მართვა დაუბრუნდა საბჭოურ მეთოდს, როდესაც ის ერთპიროვნულად იმართებოდა დირექტორებისგან. შედეგად მივიღეთ ავტორიტარი რეჟისორები. ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, რობერტ სტურუა, რომელიც არამარტო ერთ, არამედ სხვა თეატრებსაც ხელმძღვანელობს. თეატრში ხდება "პატრიარქების" დაბრუნება. კიდევ ერთი პრობლემა, კულტურის სამინისტროს კადრების დაკომპლექტება. აქ ამკარად ნეპოტიზმს აქვს ადგილი. ადამიანებს არჩევენ პარტიული კუთვნილების გამო, რომელთაზეც შეუძლებელია პროფესიული საუბარი. კულტურის სამინისტრო არის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ორგანიზაცია, მაგრამ ხელიდან არ უშვებს პროექტების დაფინანსების საკითხებს. ვინაიდან სამინისტრო არის პროექტების ერთადერთი დამფინანსებელი, არტისტები ვერასოდეს იქნებიან დამოუკიდებლები", _ ამბობს სოფო კილასონია.

ხელოვნებათმცოდნე ლალი პერტენავა ამბობს, რომ ევროპასთან ხელმოწერილი ასოციაციის ხელშეკრულება პირდაპირ მითითებებს გვაძლევს, რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ კულტურის მემკვიდრეობის განვითარებისთვის.

"კულტურის სამინისტროს ჩვენგან, სამოქალაქო სექტორისგან, არ უნდა სჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ უნდა დავიცავს კულტურული ძეგლი. თუ სამართლებრივად დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ეს არ არის კულტურის ძეგლი, ანაზ დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საყდრისი არის კულტურის ძეგლი. ასე ფიქრობს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება. 51 არასამთავრობო ორგანიზაცია მიმართავს სამინისტროს, რომ როგორმე მოხდეს საყდრისის გაბეჭვება. ან იქნებ ჩვენ ორგანიზაციებმა, ვიყიდოთ ეს ძეგლი და აღარ იყოს ჩვენი ქვეყნის სამარცხვინოდ სადებატოდ ეს თემა", _ აღნიშნავს პერტენავა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იზიარებს გურამ ოდიშარის კულტურულ პოლიტიკას და საყდრისთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დასკვნას ელოდება, რომლის მიმართ კრიტიკულ შენიშვნებს არ მალავს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პალიკო ცინცაძე.

"მე ვფიქრობ, ჩვენს კულტურასა და მეცნიერებას კიდევ ერთი პატრონი ჰყავს, რომელიც მალთან მერყევ პოზიციას ირჩევს და ყველაზე მეტად დამნაშავე, ალბათ, ისაა.

დღეს, როდესაც პარლამენტში იწყებენ საუბარს, რომ საჭიროა მეცნიერებათა აკადემიის რეფორმა, გამოდიან ძველი ავტორიტეტები და ვიშვიშებენ, რომ ეს როგორ შეიძლება. ეს ადამიანები უნდა გადადგნენ, განსაკუთრებით კი ისტორიოგრაფები და ენათმეცნიერები. იმიტომ რომ არ შეიძლება საკუთარი ისტორიის გაყალბება", _ ამბობს პალიკო ცინცაძე.

არქიტექტორ-რესტავრატორი ნატო ცინცაძე ამბობს, რომ 80-ანი წლებიდან მოყოლებული არ ჰქონია შემთხვევა, პოლიტიკოსს სკამი დარგის ინტერესისთვის გაეწიროს.

"ეს არის აბსოლუტურად უნიკალური ფენომენი ჩემთვის. მარინე მიხანდარის მაგალითმა გამოავლინა, რომ მინისტრი არ აპირებს პატივი სცეს კულტურულ მემკვიდრეობას ამ ქვეყანაში და კიდევ უფრო მეტი საშუალო გვექნება მომავალში მათთან ამ მიმართულებით.

საყდრისი და მიხეილის საავადმყოფო მოინდომეს, რომ ყოფილიყო იურიდიულად მოხსნილი პრობლემა. მალთან ცუდია, თუ სამინისტრო ამ გზით გააგრძელებს სიარულს. დღეს თუ კულტურული მემკვიდრეობა ჩაქუჩით არ ინგრევა, ეს მხოლოდ საზოგადოების აქტიურობის დამსახურებაა და არა იმიტომ, რომ კანონი იცავს მას.

როდემდე ველოდოთ ისეთი პოლიტიკოსის გამოჩენას, რომელსაც ფასეულობები ექნება. მან კანონის აღსრულებაზე უნდა იზრუნოს, თორემ რომელ ქვეყანაში ყოფილა პოლიტიკოსი, რომელიც დნებოდა კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობების დაცვაზე? ამიტომ საზოგადოებისგან უფრო მეტი მოთხოვნა და აქტიურობა უნდა იყოს".

Tweet 2 | +1 0

Like Share 124

არქივი

მოლაპარაკება თუ დამირისპირება _ რა იმალაბა 2012-11-23 20:57:10 მშენებლობა შეიქმნა 2011-06-26 17:16:38

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ილია ვაშაყმაძე ხუთდღიან შვებულებაში გავიდა. 

საპარლამენტო...

ახსნა პალატი: „თუ ვინაგბითიქის 2013-02-07 საბაძის ქუჩაზე მალაზიბი იწვინს 2014-02-11